# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] ასოზე [illegible] კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუბეჭდავად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.


ოთხი თვის ხელის-მოწერა

პირველის ოქტომბრიდამ წლის დამლევამდინ

## დროება

ცალკე ღირს — სამი მანეთი

## ივერია

ცალკე ღირს — ორი მანეთი

ერთად „დროება“ და „ივერია“ ხუთი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ზ. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Д р о э б а“.

ადრესის გამოსაცვლელად ხელის-მომწერმა ათი შაური უნდა შემოიტანოს რედაქციაში. უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელნიც ადრესს იცვლიან, ახალ ადრესთან თავიანთი მველი ადრესიც (ბანდეროლი) გამოგზავნონ.

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი, 10 ოქტომბერს.** გლეხების გადასახლების თაობაზე მოსალაპარაკებლად მოწვეულ ექსპერტებმა გალაგანი ამოირჩიეს თავსმჯდომარედ. რედაქციის კამისიას მინდობილი აქვს ვრცელი პროგრამმა მოამზადოს განსახილველ საგნებისა.

გუშინ იყო სჯა სოფლის საზოგადოებისაგან გამართულ სამიკიტნოების ხელის მოწყობაზე.

მმართებლობა ზრუნავს იმ გუბერნიების გლეხებზე, რომლებშიაც წელს ცუდი მოსავალი იყო; ამათ მდგომარეობაზე მოლაპარაკება ერობათა ექსპერტებს აქვს მინდობილი.

## სამწუხარო მდგომარეობა ქართული ეკკლესიისა ეხლანდელ საქართველოს ეგზარხოსის ხელში*)

ვერაფერი სანუგეშო ხმები გვესმის საქართველოდამ ეხლანდელ იქაური ეგზარხოსის არხიეპისკოპოსის იოანნიკეს მოქმედებათა შესახებ. ერთ-მორწმუნეს და რუსეთის უგულითადესად ერთგულს ქართველ ხალხს არა ჰყავს რუსულს მწერლობაში იმისთანა მოწადინე და მხნე დამცველნი, როგორც პოლშელებს, ურიებს და ნემცებს, და ამის გამო (რუსის) საზოგადოებისაგან შეუტყობლად რჩება ყველაფერი, რაც კი ხდება საქართველოში.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც საზოგადოება, მმართებლობაც და თვით შუწმ. სინოდიც კი მონაწილეობას იღებდენ ბერძნისა და ბოლგარიის საეკლესიო საქმეში, რომელიც ჩვენ თითქმის სრულიადაც არ გვეხებოდა და მოითხოვდნენ, რომ კონსტანტინეპოლის დიდ-ეკკლესიის წინაალმდეგ აჯანყებულთ ბოლგარიელებისათვის შეედგინათ განცალკევებული და დამოუკიდებელი საეკკლესიო ოლქი. ამ დროსვე თვით რუსეთში ხდებოდა იმისთანა საქმეები, რომლის მსგავსებშიაც ვამტყუნებდით კონსტანტინეპოლის პატრიარხს და ბერძნების არქიელებს: იმ ბერძნებს, რომელთა წყალობით ბოლგარიელნი განვითარდნენ სულიერად და შეიძინეს განათლება; იმ ბერძნებს, რომელთაც დიდი ღვაწლი დასდვეს ბოლგარიელების ხალხოსნობის ასაღორძინებლად და მაშასადამე ბოლგარიის სამთავროს და ავტონომიური ბოლგარიის პროვინციის შესადგენადაც—ჩვენ ვაბრალებდით ბოლგარიელების გაბერძნებას და, ამასობაშივე, ჩვენვე ვართ-

*) ვბეჭდავთ თარგმანს იმ სტატიისას, რომელიც მოსკოვის რუსულ გაზეთის „აღმოსავლეთის“ (Востокъ) მე-134-ში იყო დაბეჭდილი და რომელიც ამას წინათ მოვიხსენიეთ ჩვენს გაზეთშია. რედ.


ნაფიცი ვექილი

ალექსანდრე მირიანის-ძე

**ჭყონია**

ქ. ქუთაისში

მიიღებს სამოქალაქო საქმეებს საწარმოებლად ყველა სასამართლოებში, რომელნიც ექვემდებარებიან ქუთაისის ოლქის სასამართლოს, და აგრეთვე თფილისის პალატაში. სადგომი აქვს სილაზედ, საკუთარ ეახლში. (4—4)



თბილისის თეატრი

შაბათს, 17 ოკტომბერს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

დაქცეული ოჯახი

დრამა 3 მოქმედებად, რუსულიდამ, კერესელიძისა.

II

საქალებო ვაგონი

ვოდევილი 1 მოქმედებ., რუსულიდამ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.


«დროების» ფელეტონი, 13 ოკტომ.

### ე ლ გ უ ჯ ა *)

(მოთხრობა)

რაკი მოსამართლენი მარტოკა დარჩნენ, ისევ დაიყვნენ ჯგუფებათ დაიწყეს ერთმანეთში მოლაპარაკება.

მერე შეგროვდნენ ისევ, უხუცესმა დაიჭირა თავისი ადგილი, სხვები უფროსობით ჩამომწკრივდნენ გვერდით და უფროსობითვე დაიწყეს თავიანთის აზრის წარმოთქმა. ასე რიგად გასწია რამდენიმე საათმა, რომლის შემდეგაც დაიბარეს მომჩივარ მოპასუხის მხარე თემის ყრილობის გადაწყვეტილების გამოსაცხადებლად.

როდესაც ისინი შემოვიდნენ და ადგილი დაიჭირეს, უხუცესი წამოდგა და უთხრა მომჩივრებს შემდეგი:

— თქვენის თხოვნით და სურვილით, ჩვენ შევიყარენით აქ, თემის კაცნი და რაიცა უფალმა გვაგონა, ისე გავასამართლეთ. ჩვენი გარდაწყვეტილება უნდა მტკიცედ ასრულდეს თქვენგან და, თუ ვინმენ მოინდომოს თემის გაუგონრობა, ის გაგდებული, იქნების თემისაგან, აღარ ჩაითვლების ჩვენს სისხლათ და ხორცათ. აღარც ექნების ადგილი ჩვენ კერასთან. უნდა დაიფიცათ ამაზედ.

— რაისთვი არაა დავიფიცამთ!.. თემის სიტყვა საით გატყდების! უპასუხეს მომჩივრებმა.

— შემოიყვანეთ დეკანოზები, ბრძანა თავ-მჯდომარემ.

ამ სიტყვებზედ შემოვიდა ორი დეკანოზი რომელთაგანაც ერთს ეჭირა ხელში მერდინის დროშა, რომელზედაც ასხმული იყო სხვა და სხვა სიდიდის ხატები, ჯვრები, ზარები და სხვა და სხვა შეწირული ნივთები; მეორესაც—ვერცხლის ჯვარი, მერდინშივე შეხვეული. იმათ შემოსვლაზედ ყველანი ფეხზედ წამოდგნენ და ქუდები მოიხადეს. დეკანოზები მივიდნენ და დადგნენ უხუცესის აქეთ-იქით.

ყველანი რომ დამშვიდნენ, ისევ უხუცესმა დაიწყო პირველი სიტყვა:

— მოდით, დაიფიცეთ.

მომჩივრები მივიდნენ, პირჯვარი დაიწერეს, მუხლი მოიყარეს და ხელი მოჰკიდეს დროშას.

— ღმერთო, დიდებულო, დაიწყო ერთმა დეკანოზმა, ღმერთო ივანენათლის მცემელო, წვერისა სპარსთ-ანგელოზო, ხევის სამებაო, ღუდის ყოვლად-წმინდაო, ლამისა მთავართ მოწამეო, შენი მადლი შეაწიე ამ ხალხსა!

— ამინ შენს მადლსა! იყო პასუხი.

— შენ არიდე შფოთი და მწუხარება, შენ ჩამოაგდე ამის შემდეგ მშვიდობიანობა ჩვენს თემობაში.

— ამინ შენს მადლსა!

— საშვილი - შვილოთ გააყოლე შენი წყალობა საქართველოს ერთგულსა, თემის პირის შემნახსა, ძმა-ნათესავის გამტანსა, საწყლის შემბრალებელსა, მშვიდობიანობის დამთესსა...

— ამინ შენს მადლსა!

— თემის პირის გამტეხს-კი, ნათესავის დაუნდობელს, მამულისა და მეფის მოღალატეს, ნუ მისცემ ნურსად მოსვენებას...

— ამინ შენს მადლსა!

— ნუ მისცემ ამისთანა კაცს ნურც სახლს, ნურც თავ-შესაფარს, ნურც კერას, ნუ მოაკვლევინებ ნადირს, ნუ გაამარჯვებინებ მტერზედ.

— ამინ შენს მადლსა!

— აბა ემთხვიეთ ხატებს! გაათავეს დეკანოზებმა და დააჟღრიალეს ზარები.

ხალხი რომელიც აქამდინ დაჩოქილი იდგა, ეხლა წამოიშალა, მომჩივრები კრძალვით და მოწიწებით ემთხვივნენ დროშას, ჯვარს და დაიჭირეს ისევ თავიანთი ადგილი.

უხუცესი (თავ-მჯდომარე) წამოდგა და კრების შემდეგი გარდაწყვეტილება გამოაცხადა:

—„ელგუჯამ, მართალია, ქალი გაიტაცა და ამითი სირცხვილი მიაყენა ჩოფიკაშვილის სახლს, მაგრამ ძალადობა არ უხმარია და ქალი თავისის ნებით წაჰყოლია.

„მაგი შეხვედრია წინ და თავის სახლის პატივის დაცვისთვის შებმია ელგუჯას და იმასაც თავის ამხანაგე-

*) იხ. „დროება“ № 212.

მღვდით საშუალებას ჩვენს თანამორწმუნე მოლდავიის 800,000 მცხოვრებლებს არა თუ მარტო სკოლების შენახვისას, არამედ დედა-ენაზე ღვთის-მსახურების უფლებასაც... ეს კიდევ არაფერი. კიშინევის ეხლანდელ არხიეპისკოპოსის პავლეს წყალობით, 777 სამრევლო ეკლესიებიდამ 1869 წელში დარჩა მხოლოდ 444 და დანარჩენი 333 კი დაიხურა, ანუ როგორც ჩვენში ამბობენ, ეკლესიის რიცხვის შემცირების მომხრენი, მეზობელ ეკლესიებს მიეწერნენ, თუმცა ამის გამოისობით მარტო რიცხვი მღვდლებისა 486-მდე შემცირდა და ეკლესიები დარჩენ უმათოთ.

ამათ ნაკლებს უხიაკობას არ იჩენს ეხლიანდელი ეკზარხოსი საქართველოისა ქართველ სამღვდელოების და ერის შესახებ. ამ შემთხვევაში ყოვლად უსამღვდელოესი იოანნიკე მიდის მის წინა-მოადგილის არხიეპისკოპოსის ევსევის კვალზე, რომელიც სრულიად ეწინაალმდეგებოდა საქართველოს ადრინდელ ეკზარხოსის ისიდორეს მოღვაწეობას. რუს-ეკზარხოსთაგან მხოლოდ ისიდორემ დაიტოვა საქართველოში კარგი სახელი. ამ ყოვლად უსამღვდელოესმა არქიეპისკოპოსმა ქართული ეკლესიის 14 წლის განმავლობაში მმართვისა აღადგინა რამდენიმე ძველი ეკლესიები და ორი ძველი ეპარქია: ჯუმათის (გურიაში) და აფხაზეთის, ცდილობდა ქართველ სამღვდელოების განათლებას და მმართლ-მადიდებლობისაგან განდგომილთ აბხაზების ხელ-ახლავ მოქცევას.

სრულიად სხვა გვარია იმის შემდეგ ეკზარხოსების მოქმედება.

მაგალითად, არქიეპისკოპოსმა ევსევიმ, იმის სამაგიეროდ რომ დახმარებოდა და შემწეობა აღმოეჩინა აბხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებისათვის, შესაძლოდ დაინახა 1869 წლიდამ აბხაზეთის კათედრა უარქიელოდ დაეტოვებინა. ამის გამო მმართლ-მადიდებლობა აღარ ვრცელდება ახლა იქ და წასრულ ომიანობაში აბხაზები თითქმის მტრებიც გახდნენ რუსეთისა. სამეგრელოს ძველს ეპარქიას ჩამოართვეს დამოუკიდებლობა და იმერეთისას შეუერთეს. საქართველოს ეხლანდელი ეკსარხოსის წინადადებით სამსახურიდამ განთავისუფლეს გურიის ეპისკოპოსი გაბრიელი (აწ მიცვალებული) და გურიის ეპარქიის მოსასპობლად აზრიც არის წარდგენილი. აბხაზეთის ეპარქია სამუდამოდ უერთდება სამეგრელოისას და სახელ-განთქმული პიჭვინდის სობორო, რომელიც უწინ იყო საკათედრო აბხაზეთის კათოლიკოსებისა, ათონის პენტელეიმონის მონასტერს უნდათ გადასცენ, რის თაობაზედაც ძალიან ცდილობენ პანტელეიმონელი ბერები. ჩერნომორიის ოლქს უერთებენ იმიერ-ყუბანის ოლქსაც (კავკასიის ეპარქიიდამ) და აღვენენ სანახევროდ დამოუკიდებელ ეპარქიას, რომელიც ექვემდებარება ქართლისას. პირველ კანდიდატად ნოვოროსსის კათედრის საარქიელოდ ამორჩეულია რუსი, ტფილისის სასულ. სემინ. რექტორი არხიმანდრიტი მიხაილი.

ქართველთ ეკლესიის ამ ნაირი ადმინისტრატიული გადაკეთება, ორი უძველესის ქართული ეპარქიის გაუქმება, უდიდებულესი ქართულის წმიდა ადგილის გადაცემა ათონის ბერებისათვის, იმიერ-ყუბანის მხრის კათედრაზედ არქიელად რუსის დანიშვნა, ამ ადგილებიდამ ქართველების განრიდება და აგრეთვე ის შეწუხება, რომელსაც ეკზარხოსი აყენებს ქართველთაგან დიდად-პატივცემულს მეცნიერსა იმერეთის ყოვლად-სამღვდელო გაბრიელს (რომელიც ხნითაც და არქიელობითაც უფროსია ეკსარხოსზე) და ქართველთ სხვა არქიელებსაც — საზარელს შთაბეჭდილებას იწვევს ქართველებში. ჩვენ ჯერ თავს ვიკავებთ და არ ვუზიარებთ მკითხველებს ყველა იმ ხმებს, რომელიც ჰსუფევს საქართველოს ეხლანდელის ეკზარხოსის მოქმედებათა შესახებ და ვაცხადებთ მხოლოდ ჩვენს გაკვირვებას, რომ უწ. სინოდმა ამის თაობაზე არაფერი უწყის. გვიკვირს აგრეთვე, რომ მხნე ქართველი მამულისშვილნი (პატრიოტები) არ აღამაღლებენ თავის ხმას საკუთარის სამოციქულო ძველი ეკლესიის დასაცველად.

იმიერ-კავკასიაში ეპარქიების შემცირებაზე კი არ უნდა ჰფიქრობდეს ეხლანდელი ეკზარხოსი, არამედ მათს მომატებაზე და მთიულებში სამმისიონერო მოღვაწეობის შემატებაზე უნდა ზრუნვიდეს. ჩვენ გვაცნობებენ, რომ ზოგიერთ საპატიო წევრთ ქართული სინოდალური კანტორისა წინადადება მისცესო ეკზარხოსს, ბოდბის კათედრის (სიღნაღის მაზრ.) აღდგენის, რათა ამ აღდგენით გაევრცელებინათ სამისსიონერო მოღვაწეობა დაღისტანში; მისცესო აგრეთვე წინადადება აბხაზეთის და გურიის კათედრის დაუყოვნებლივ განახლებაზე, მაგრამ ეკზარხოსი არ დაეთანხმა მათ და დაუჯინებია ორის უკანასკნელის კათედრის მოსპობა.

ამ ცოტა ხანში თბილისს დახურული არხეოლოგიური კრება. მოწმე იყო იმ სამწუხარო ყოფისა, რომელშიაც არიან უდიდებულესნი წმიდა მონასტერ-ტაძრები საქართველოს იმ ნაწილში, რომელსაც განაგებს ეკზარხოსი, მაგალ. მცხეთის სობორო, მაშინ, როდესაც ჩინებულს მდგომარეობაშია იმერეთის მონასტერ-ტაძრები (გარდა გელათის ზოგიერთ ძვირფასის დაკარგულ სამკაულისა), რომელთაც განაგებს ქართველი ეპისკოპოსი.

## ახალი ამბები.

ბევრი ცვლილობისა და ცოდვილს შემდეგ, ჩვენი დრამატიული ტრუპპა ახალ წესზედ დადგა: მოგეხსენებათ, რომ ჯერ ამტრუპპას არტელი (ამხანაგობა) ჰქონდა, მერე ანტრეპრიონერი იყო, შემდეგ ჩვენი ტრუპპის და თეატრალური ამხანაგობა განაგებდა, შემდეგ გამოჩნდა კამიტეტი, მერე კიდევ ანტრეპრიონერი, შემდეგ კომიტეტისაგან დაყენებული რეჟისორი და ახლა რადგან კომიტეტებმა ხელი აიღო ტრუპპის შედგენაზე, ამ ტრუპპაში აღმოჩნდა ორი ამხანაგი ბ.ბ. ვ. აბაშიძე და კ. მესხი. რომელთაც, დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის დახმარებით, იკისრა ტრუპპის შედგანა და ქართულ სცენის საქმის მართვა.

გავლილ შაბათს, 10 ოქტომბერს, ჰქონდა პირველი წარმოდგენა საზაფხულო თეატრში. ითამაშეს ორ-მოქმედებიანი დრამა „შეშლილი“ და „ბულმა იგრძნო.“

და ითამაშეს ისეთი კარგათ, საზოგადოთ მთელი წარმოდგენა თითქმის ისე უნაკლულოდ იყო, რომ, თუ

---

ბით, თავიანთ თავის დასაცველად იარაღი უხმარია, რომლის შედეგიც რამდენიმე კაცის სიკვდილი ყოფილა.

„ელგუჯას ბაგის ცხენი დაუშლია და ამ მიზეზით ბაგი გადავარდნილა კლდეზედ და დამსხვრეულა.

„მერე რუსის ჯარებს დაუხოციათ ელგუჯას ამხანაგები, თითონ ელგუჯა მძიმეთ დაუჩეხიათ და ქალი წაურთმევიათ.

„ჩვენ ჩვენის გონებით, ჩვენის ჭკუით გავასამართლეთ ეს ხალხი და გადავწყვიტეთ:

„რადგანაც ბაგის ამალში დახოცილები ორი ყოფილა ჩვენებური, ელგუჯას ამხანაგების სიკვდილი იმათ სისხლში.“

„ბაგის კლდეზედ გადავარდნა არ არის პირ-და-პირი ელგუჯას ხელით სიკვდილი და სისხლი არ ეძიება ამისთვის. ამის სამაგიეროთ ელგუჯას ჩამოერთოს მამული და მიეცეს სვიმონ ჩოფიკაშვილს... სვიმონმა თავის მხრით გაიღოს ელგუჯას სააქმო.“

„ელგუჯას ნათესაობა თემის კაცების დასწრებით მოვიდეს ხარითა და ღუდით ბაგის საფლავზედ შესახვეწათ.“

„ქალი დარჩეს სვიმონს, როგორც ნასყიდი, და თუ ელგუჯამ წაყვანა მოინდომა, ურვადათ გადაგვიწყვეტია ორმოცი ძროხა.“

„ამის შემდეგ ელგუჯას და სვიმონის გვარეულობაში ჩამოვარდეს ძმობა, მეზობლობა და სიყვარული.“

ეს სეტყვები ყველასაგან მიღებული იყო წესიერის მორჩილებით და და მასუკან გაიშალა „სიფრო“ პურის საჭმელათ, რომელზედაც სადღეგრძელოები უწყვეტლივ ისმოდა.

მზალვე გულის კანკალით ელოდა ამ გადაწყვეტილებას, თუმცა წინათვე დაიმედებული იყო სვიმონისაგან!..

წარმოიდგინეთ ქალის სიხარული, როდესაც იმან გაიგო, რომ ელგუჯას სიცოცხლეს აღარავინ შეეხებოდა და ისიც ცოცხალი დარჩებოდა. მართალია, ის არ არგუნეს ელგუჯას და ურვადი ისეთი დაუდვეს, რომ იმის გადახდა შეუძლებელი იყო, მაგრამ, გათხოვების ნება რომ მიეცათ, გათხოვდებოდა განა თითონ? ეგ თითონაც კარგათ არ იცოდა, თუმცა მზად იყო დღესვე თავი შეეწირა თავის სიყვარულის სავნისთვის.

ამ ჟამად იმას დაევიწყებოდა თავის თავი და მხოლოდ თვალ-წინ უდგა ელგუჯას სიცოცხლე, რომელსაც ბედნიერების მოპოება შეეძლო.

გაიარა ამ ღამემ და იქ მყოფთ ცხოვრებამ მიიღო ისევ ჩვეულებრივი მდინარეობა. მუშა-ხალხისათვის დადგა ისევ ის მთრთოლარე მოუსვენრობა, რომელიც თითქმის ჩვეულებად გადაქცათ იმ უბედური წლების ხალხს.

ერთს დღეს მზალვე გარეთ იჯდა და საჩოხე მატყლსა სჩეჩდა. იმას გვერდიდ უჯდა ჯაჯალა, ის დედაკაცი, რომელიც მზალვეს პირველ მოყვანაში ალერსიანის სიტყვით შეხვდა. ჯაჯალა ამ დღეებში მოსული იყო მეორე სოფლიდგან და ისევ ისე თანაგრძნობით ექცეოდა, ისევ ისე გულ-მხურვალედ ეკიდებოდა მზალვეს საქმეს და მდგომარეობას, როგორც უწინ.

როდესაც ისინი ერთად მუშაობდნენ და ერთმანეთს უამბობდნენ სხვა და სხვა ამბებს თავიანთი ცხოვრებიდგან, ერთბაშად სიტყვა გაწყვიტეს, ფეხზედ წამოდგნენ — იმათ დაინახეს სვიმონა, რომელიც იმათკენ მიდიოდა.

დედაკაცებს რომ გაუსწორდა, ის შესდგა და ჯაჯალა წყლისთვის გაგზავნა, რომელიც სირბილით გაეშურა თავის ბატონის ბრძანების ასასრულებლად.

მზალვე და სვიმონ მარტონი დარჩნენ; ეს უკანასკნელი მიუბრუნდა ქალს:

— მადლობელი ხარ თემის გადაწყვეტილებისა? სისხლი აღარ დაიღვრება.

— თემი გონიერია, შენი წყალობა ნუ მამიშალა ღმერთმა.

— არ იცი ეხლა სად არის ელგუჯა?

ამ კითხვაზედ ქალი შეშინდა- ეგონა, რომ სვიმონ სისხლის საძიებლად ეძებდა იმის სადგურს და გაფითრდა.

— ნუ გეშინიან. მითხარ.. მე სიტყვა მოგეც, რომ იმის სიცოცხლე დაფარულია.... თუნდა ეგრეც არ ყოფილიყო, თემის გადაწყვეტილება ჩემთვის გაუტეხელია.

— მე რაი ვიცი? კიდევ უნდობლად წარმოსთქვა მზალვემ.

— შენ იცი და თუ იმისთვის კეთილი გინდა, უნდა გამაგებინო.

— არ ვიცი არა შენი ჭირიმე

— არ გინდა სთქვა, შენი ნებაა, — მე ძალას აღარ დაგატან, მხოლოდ იმას — კი გეტყვი, რომ შეატყობინო მოშორებით წავიდეს. მე თითონაც გავაგებინებდი, მაგრამ მეშინიან ხალხში არ გავარდეს ხმა, რომ მე ვიცი, საცა ელგუჯა იმალება.

— თემმა ხომ მოგარიგათ, შენ

შემდეგშიაც ასე წესიერად და ცოდნით წაიყვანეს საქმე, იმედი უნდა გვქონდეს, რომ ქართულს სცენას გარგი მომავალი მოელის და იმის თანამგრძნობლები დღითი-დღე მრავლდებიან.

Თვითონ ამ წარმოდგენაზე შემდეგში მოვილაპარაკებთ.

* * *

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ტელეგრამმა Ფოთიდამ იქაურ საქალებო სასწავლებლის უფროსებისაგან ქალბატონის მილოვდავსკისაგან, რომელიც გვთხოვს შევატყობინოთ—ვინ არის ავტორი იმ კორრესპონდენციისა, რომელიც „დროების" მე-207 ნომერში დაბეჭდილი. პირველად და მეორედ არ ყოფილა ჩვენგან გაზეთში გამოცხადებული, რომ ავტორების გამცემი ჩვენ არა ვართ და თუ ვისმე ჩივილი ჰსურს, შეუძლიან პირ-და-პირ რედაქციაზე იჩივლოს. Ამასვე მოვახსენებთ ქალბატონს მილანდოვსკისასაც.

* * *

ხაშურიდამ დიდ სამდურავს გვწერენ ადგილობრივ მღვდელზედ მ.—ვზე. Თუ თავის ქეიფი არ არის, რაც უნდა საჭიროება იყოს, ფულიც რომ საკმაოდ ვაძლიოდ, არც ჯვარის-წერაზე მოვა, არც ნათლობაზე და არც სხვა მღვდელ-მოქმედებაზედ.

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ" ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

—

ᲛᲗᲘᲣᲚᲐᲛ, 6 დეკემბრისთვის. Იქნება ჩვენც ღმერთმა შეგვიბრალოს და გამოჩნდნენ ჩვენშიაც ისრეთნი გულის შემატკივარნი ჩვენის ხალხისათვის და კეთილის გზის მაჩვენებელნი პირნი, რომ, მათის შემწეობით, ჩვენმა ყველაზედ უკან დავარდნილმა და ჩამორჩომილმა ხალხმაც დაინახოს ის გზა, რომელზედაც შეეძლოსთ მათ ველა დაუცინებლად სხვა ქვეყნის ხალხისა, რადგანაც მოხევეები და მათ შორის საზოგადოთ ამავე მთის ოსები, ისრეთის სიამოვნებით მისდევენ და ასრულებენ ყველა ძველებურს ჩვეულებებს, რომ, როგორც მე ვგონებ არც ერთს ხელობაში მყოფს პირს არ შეუძლიან თვისი თანამდებობის ისე გულ-მხურვალედ მოკიდება და აღსრულება როგორც მოხევებს და მთის ოსებს.

Ამ ორი დღის წინად სოფელს სიონში იყვნენ მოწვეულნი მიცვალებულის დასასაფლავებლად ჭირისუფლისაგან საბლაღოჩინოს სამღვდელოთგანნი რიცხვით სამნი; ამათ გარდა ბლაღოჩინი ამავე სამღვდელოთი ბიორგი Იტანიევიცა. Ამ დღეს მ. Ი—ვმა აღუკრძალა მანდილოსნებს „დადათი" მიცვალებულზედ შესვლა, აგრეთვე ზარით ტირილი. Ესრეთი განკარგულება ბლაღოჩინისა თუმცა რამდენიმე პირს იქ მყოფთაგანთს მოეწონათ და ამბობდნენ: „—მამაპაპის ადათის და ჩვეულების აუსრულებლათ ჩვენს მკვდარს რაი ლაზათი ექნებაო!" მაგრამ, როგორც შევნიშნე, უმრავლესობას-კი ძრიელ არ მოეწონათ მ. ბლაღოჩინის ესრეთი უჩვეულებრივო განკარგულება.

Ამას გარდა მამა ბლაღოჩინმა Იტანიევმა გამოუცხადა მუნ მყოფთ სამღვდელოთ, რომ უთუოდ ეცადონ ხალხში ყველა ურიგო ჩვეულებების მოსპობას, და მეც ყოველს შემთხვევაში დაგეხმარებით და შემწეობას აღმოგიჩენთო.

Უთუოდ იმედი გვექნება, რომ ბლაღონი Იტონიევი დღეის შემდეგ უფრო გულ-მხურვალეთ მოეკიდება ყველა იმ მავნებელი ჩვეულებების მოსპობას, რომელნიც მარტო ჩვენის ხალხის ცხოვრებაში არიან მიღებულნი, და მტკიცეთ ფესვებ გადგმულნი, რომელთაც ფესვებიანათ ამოფხვრას ცოტაოდენი შრომის მიღება დასჭირდება და შრომის მიუღებლათ კი მათი სრულიად მოსპობა ძნელია.

გაბრიელ ბედოშვილი

## ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ.

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ო რ შ ა ბ ა თ ს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტავათმყოფობისა.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შ ა ბ ა თ ს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

**ბბ. გ. იოსელიანისა და რ. რეცოლდის პანსიონში და სასწავლებელში იღებენ ყმაწვილებს პირობით ყოველ საშუალ სასწავლებლებში მოსამზადებლად. მიხაილოვის ქუჩა, გურგენბეგოვის სახლებში. № 81**

(5—1)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი Იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.


ხომ აღარ ემტერები და რაისიღა უნდა ეშინოდეს?

— Შენ ბაშვი ხარ ჯერა... მე მყავს მტრები და ჩემი მტრები Ელგუჯას მტრებიც არიან.

— Მე არ მესმის რას ანბობ.

— Ამას რომ ძველი ნაჩალნიკი ჩაიდა და ცდილობს ყველანი დაარწმუნოს, რომ Ელგუჯამ ჩემის დარიგებით მოკლა ბაგი და ვითომც Ელგუჯას ეხლა მე ვმალამ....

— Მაშ რაიღა გეშველება? შეშინებიდ წარმოსთქვა მზალვემ.

— Ისა, რომ როგორც იყოს გაავებინო ეს ამბავი Ელგუჯას, ის გიჟი არაა თითონ იპოვის საშუალებას.

— Ვისის პირით შეუთვალო, საით გავაგებინო? ჰკიდევ იეშმაკა მზალვემ.

— Ეგ ჩემი საქმე არაა,.. Უპასუხა სვიმონმა ისეთის კილოთი, რომ ადვილად დარწმუნდებოდით, რომ იმან ყველაფერი იცოდა, მაგრამ არ უნდოდა რომელიმე მოაზრების მიზეზით თითონ ემოქმედა.

სვიმონ წავიდა. რა წამს ის მიეფარა იქვე აშენებულს საიასაულოს, Ჯაჯალა სირბილით მოვიდა და ლიტრით მოიტანა წყალი.

— რა იქნა ბატონი?

— Წავიდა... Იმან შენ განგებ გაგზავნა, ჩემთან ლაპარაკი უნდოდა... Უპასუხა მზალვემ და გადასცა რაზედაც იმათ ლაპარაკი ჰქონდათ, მემრე გამოუტყდა, რომ წარსულს შაბათს ერთი მთიული, სახელად მათია, იყო და იმან ყველაფერი უანბო Ელგუჯაზედ.

Მემრე ლაპარაკი გადავიდა სხვა და სხვა საგნებზედ, რომელიც შეეხებოდა იმათ წარსულს ცხოვრებას. Მზალვეს ეჭირებოდა ისეთი მევოხრის მიშველება, როგორიც Ჯაჯალა იყო, რადგანაც იმის გულს ამდენი მარტოობა აღარ შეეძლო და მოგროვებული ნაღველი ითხოვდა გარეთ გამოსვლას.

როდესაც ენა მოიჯერეს ლაპარაკით, გულს ჩამოხატეს მომეტებული ბარგი და ცოტაოდენი დაამშვიდეს, წავიდნენ შინ, სადაც მზალვე ეხლა უფრო გულადად შედიოდა, რადგანაც ისეთს ქომაგს და მეგობარს გვერდით ხედავდა როგორც Ჯაჯალა.

Იმათ გადაწყვიტეს, რომ შაბათამდინ როგორც იქნება მოითმენენ და შაბათს მათიასაგან გაიგებდნენ Ელგუჯას ამბავს დაწვრილებულად გაატანენ იმისთვის და საჩოხეს, რომელიც უთუოდ საშაბათოდ ამ ორ ქალს უნდა მოესწროდ.

როდესაც ესენი ამ გაცხარებულს საქმეში იყვნენ, მათიას ცხვარი გაერეკა საძოვარზედ. Თითონ დაყუდებული შვინდის კომბალზედ უყურებდა. Ცხვრები ერთი ერთმანერთის შურით, ერთმანერთს გადაურბენდნენ წინა და გაუმაძღრათ სწიწკნიდნენ ბალახს.

Ცხვარი ძოვნით მიდიოდა წინ და შორდებოდა მწყემსს, რომელიც ისევ იმ ადგილს გაუნძრევლად იდგა და ერთის ალაგისთვის მიექცია თვალები. საკვირველი იყო, რომ ყოველთვის მუყაითი მათია, განთქმული მწყემსი, რომელიც ერთს ბიჯსაც არ მოშორდებოდა თავის საქონელს, დღეს ასე ჩაფიქრებულიყო და მისციებოდა ერთს ალაგს. Იქნება ის გაიტაცა ბუნების მშვენიერმა სურათებმა, რომელნიც იმის თვალ-წინ იხატებოდა? Არა, ის იმ დროს არც იმ ამაყად აყუდებულს მთებსა ხედავდა, არც მშვენივრად გადაფენილს ტყეებს, არც ნაჩხატებს, რომლებიც ჩხრიალით თეთრ რძესავით ქაფდებოდა, გადმოდიოდა კლდეებიდამ და ათას წინწკლებად იფანტებოდა, არც მწვანეთ მოდებულს ველებს, რომელიც ათას ფერის სურნელი ყვავილებით შეემკო ბუნებას. Მაშ რა უნდა ყოფილიყო იმ ჟამად ისე მიმზიდველი და გამტაცებელი იმის გონებისა?

Ეს რამდენიმე დღეა, რაც იმას ეს ჩვეულება დასჩემდა და ჯერ თითონაც კარგად ვერ გამოერკვია, რა მიზეზი იყო, ამისი, თუმცა ყოველ ამ დაფიქრებასთან ერთად თვალ-წინ წარმოუდგებოდა მღიმარე სახე მშვენიერის ქალისა, რომელიც თავის ჟუჟუნა თვალებით, მათიასავე უნებურად, იზიდავდა იმის გონებას, სანამ თავ-დავიწყებამდინ არ მიიყვანდა. Და, რა ამ მდგომარეობამდის მივიდოდა, ისეთ სანატრელს, თუმცა ტანჯვით სავსე, გრძნობაში შედიოდა, რომ იმასთან გაყრა წარმოუთქმელი უბედურება იყო მათიასთვის.

Ვისი იყო ის სურათი, რომელმაც ისე მაგრად შებოჭა მათიას ქვის გული?

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

P. S. ჩვენდა სამწუხაროდ ამ მოთხრობაში რამდენიმე შეცდომა შევიდა კორრექტორის მიზეზით, რომელსაც უახლოესელ ნომერში გავასწორებთ. ა. მ.

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

სამწერლო

# თაიგული

შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონიასაგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) გ—სა, V ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI ჩივილი ხევდრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთავისა, VII ხასიათის გავლენა სამუელ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა, IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

---

# ქ. ქუთაისში

ახლათ გაღებულს ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეების მაღაზიაში მიღებულია განსაკუთრებით ყოველ გვარი სამზღვარს გარეთის საქონლები, მაგალითებრ: კაცის, ქალისა და ბავშვების ფეხსაცმელები, ქუდები სხვა და სხვა ახალის მოდისა, პერანგები, კოვთები, მოსასხმელები, ბალდადები, კასინკები, ხელთათმანები, წინდები, ქამრები, ოქროს ნივთები, ქალის უნაგირები ხავერდისა და ლორის ტყავისა, სტოლისა და ჩაის ჭურჭლები, ჭიქები, სარკეები, კროვატები, სკამები, ლამპები, საყვავეები. პარფიუმერიიდგან: გასალამაზებელი ორიზა და ქორფლის წამალი ლე-ჟანდესი, პუდრები ორიზა, ველუტინი და ანტეა. აგრეთვე ისყიდება სხვა და სხვა დუხები. ყოველი საქონელი 1-ის ხარისხისა არის და ისყიდება უფრო იაფათ ვინემ სხვაგან, ასე რომ თითოეულის მანეთის საღირელს 25 კაპეიკამდის აკლებენ. (5—4)

---




მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული




წამალი ნაოფლარისა, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირთა ფეხის თითებს შუა,

# გალმანინი

**(Гальманинъ)**

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის გ. კარპინსკის აფთიაკის ქ. ვარშავში, ელექტორალის ქუჩაზე № 35. დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავში 50 კ. ღირს, პატარა — 30 კაპ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ და ითხოვოთ რომ კარობკასთან იყოს: ახსნა როგორ უნდა იხმაროთ წამალი და მედალი პარიჟის მსოფლიო გამოფენისა. (20—20) გ. კარპინსკი.

---

# ექიმი რეიხი

თვალის ტკივილის ავათმყოფობისა, რომელიც ხუთი თვის განმავლობაში არ იღებდა ავათმყოფებს, ხელახლად იწყებს ექიმობას.

მიიღებს ავათმყოფებს დილის 9 საათიდამ 10-მდინ მუდამ დღე.

ადრესსი ადრინდელი; არსენალის ქუჩა. სახლი № 17.

სამკურნალოში ღარიბებს უფასოდ მიიღებს. (5—3

---

ქ. გორში მომრიგებელ სასამართლოის პირ-და-პირ გავხსენ ზეთით მომზადებული ყოველნაირი წამლების სამხატვრო საღებავთა მაღაზია, ვყიდი გირვანქობითაც თბილისის ფასებზედ 20% ნაკლებ მყიდველთ შეუძლიათ სოფლებიდამაც მომმართონ უტყუვრად გავგზავნებათ ყოველ-გვარი საღებავი (კრასკა) (10—2) ივანე ს. ბაბალოვი

---

თფილისის ქალაქის

# გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამითი ცხადებს სახლის პატრონებს, რომ გამგეობას ეჭირება სადგომები 1, 2, 3 ანუ 4 პოლიციის უჩასტკაში: 1) თბილისის პოლიციმეისტერისათვის ოთხი ოთახი თავის სამზარეულოთი, დერეფნით და საჯინიბოთი; 2) სადგომი პოლიცმეისტრის კანცელარიისათვის—ექვსი ოთახი და 3) სადგომის ცეცხლი მქრობ კამანდის 68 სალდათისათვის თვის სამზარეულოთი და 30 ცხენისათვის საჯინიბოთი, აგრეთვე სარაია კამანდის პოვოსკებისა და სხვა იარაღებისათვის და ორი ოთახი სამზარეულოთი კამანდის უფროსისათვის (ბრანტმეისტერისათვის). ყველა ეს სადგომები შეიძლება ერთს სახლში იყოს, ანუ ორში ან სამში.

ვისაც ზემოხსენებულ სადგომებისათვის სახლის გაქირავება სურს, ამ თვის 19-მდინ უნდა შემოიტანოს განცხადება თფ. ქალაქის გამგეობაში (უპრავაში). (3—3)

---

ინგლისის მაღაზიაში
არწრუნის გალლერეაში
(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
| --- | --- |
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| ხუთეთოსი 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოდ, სხვაგან კი ქაღალდით. (100—50)

---

ინგლისის მაღაზიაში

თმის აღ-მყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—60)

---

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურკელი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისხოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მაღაზიაში. იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—21)

---

# ისყიდება

ბექანთუბანში კარგი რცხილისა და წიფლის შეშა ნავით ჩამოტანით. მიმართეთ ნ. ჩხეიძეს. (10—10)

---

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პარუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—27)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩოტკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩივინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჰავანას სიგარები. (100—37)

---

**ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყუვოთ.** (100—48)

---

## ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 16 სეკტემბრიდამ 3 ოკტომბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | |
| --- | --- | --- |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის „ | —1 გირ. | 3½ |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
| --- | --- | --- |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4½ |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
| --- | --- | --- |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
| --- | --- | --- |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გირ. | 9 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
| --- | --- | --- |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 14 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 12 კ. |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Октября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი